ეკონომიკის დივერსიფიკაციის ანატომია 2012 VS 2018

ანდრია გვიდიანი
2019 წელი

შესავალი

საქართველო ღია ტიპის მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ქვეყანაში მოქმედებს ეკონომიკა, რომელიც შეუზღუდავად ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკებთან. ამგვარი ურთიერთქმედება ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და კაპიტალის ყიდვა-გაყიდვას თავისუფლებას გულისხმობს. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს სხვა ქვეყნებთან ეფექტიანი ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარება.

ბოლო პერიოდში განვითარებული პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა რუსეთთან არსებული ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი.

გარდა ამისა, 2013 წლის შემდეგ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების პარალელურად, პოლიტიკოსების, ეკონომისტების, თუ საზოგადოების აქტიური წევრების მხრიდან, აქტუალური გახდა ეკონომიკის დივერსიფიკაციის და რუსეთიდან მომდინარე შესაძლო რისკების შემცირების თემა.

კვლევის მიზანი

უნდა ითქვას, რომ საჯარო სივრცეში ხშირად ისმის ერთი მხრივ, დილეტანტური და, მეორე მხრივ, დემაგოგიური განცხადებები. კერძოდ, პოლიტიკური პარტიები თუ მათთან დაკავშირებული პოლიტიკური ინტერესების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ დაამკვიდრონ მოსაზრება, თითქოს საქართველოს ეკონომიკა თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია რუსეთზე. გარდა ამისა, ასევე, აქტიურად ვრცელდება მოსაზრება, თითქოს ეკონომიკის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, ეფექტიანი ნაბიჯები არ იდგმება.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული მაჩვენებლების და ფაქტორების ანალიზის საფუძველზე პირუთვნელად მიეწოდოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ეკონომიკის დივერსიფიკაციის რეალური ვითარება.

კვლევა, ძირითადად, აგებულია შედარებითობის პრინციპზე 2012 წელთან. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული წელი არ უნდა ჩაითვალოს წინა ხელისუფლებასთან შედარების მცდელობად. აღნიშნული წელი წყალგამყოფად აღებულია იმ მიზნით, რომ დინამიკაში იყოს წარმოჩენილი დღევანდელი ხელისუფლების პირობებში რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს დივერსიფიკაციის პროცესი და რამდენად დიდია რუსეთის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

საგარეო ვაჭრობა

ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად ღერძს საგარეო ვაჭრობა და მისი სტრუქტურა წარმოადგენს. ახალი ბაზრების ათვისება და მათზე თავის დამკვიდრება როგორც ნებისმიერი კერძო კომპანიის ინტერესს, ისე ნებისმიერი ხელისუფლების საზრუნავს წარმოადგენს.

რუსული ბაზარი თავისი მასშტაბების გამო, მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისთვის. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ აღნიშნული ბაზრის ათვისებისკენ ყველა განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნა მიისწრაფვის.

საქართველოს და რუსეთის მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება საფრთხის შემცველია. შესაბამისად, ხაზგასასმელია, რომ ხელისუფლების მხრიდან საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება.

მაგალითისთვის, არსებული ხელისუფლების პირობებში გაფორმდა ევროკავშირთან და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები. შესაბამისად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საქართველოდან ევროპის მიმართულებით საქონლის და მომსახურების ექსპორტი. კერძოდ, 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ევროკავშირის ეკონომიკაა, რომელზეც მთლიანი ექსპორტის 21.8 პროცენტი მოდის.

რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, აღსანიშნავია მეზობელი საექსპორტო პარტნიორები: აზერბაიჯანი (15.0 პროცენტი), რუსეთი (13.0 პროცენტი), სომხეთი (8.3 პროცენტი) და თურქეთი (6.9 პროცენტი). გარდა ამისა, მოწინავე პოზიციაზე მთლიან ექსპორტში 5.9 პროცენტიანი წილით გამოირჩეოდა ჩინეთში ექსპორტი.



წყარო: საქსტატი

„რაც შეეხება, ზოგადად, ექსპორტს 2012 წლიდან დღემდე წმინდა ექსპორტი მილიარდი დოლარით არის გაზრდილი“

რაც შეეხება, ზოგადად, ექსპორტს 2012 წლიდან დღემდე წმინდა ექსპორტი მილიარდი დოლარით არის გაზრდილი.

ასევე, ხაზგასასმელია, რომ ეკონომიკის განვითარების პარალელურად იზრდება იმპორტიც და, ზოგადად, საგარეო ვაჭრობა. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდის ტემპი აჭარბებს იმპორტის ზრდის ტემპებს, რაც, თავის მხრივ, უამრავ მაკროეკონომიკურ პარამეტრზე მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენს.



ახლა განვიხილოთ ექსპორტის საკითხი დივერსიფიკაციის კონტექსტში. როდესაც საუბარია საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციაზე მნიშვნელოვანია დინამიკაში დავინახოთ სხვა ქვეყნების ბაზრების ათვისების დინამიკა რუსეთის ფაქტორის გამორიცხვით. ხაზგასასმელია, რომ რუსეთის ბაზრის გარდა სხვა ყველა ქვეყანაში ექსპორტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.



მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის პარალელურად, (რუსეთის ფაქტორის გამორიცხვით) წმინდა ექსპორტი გაზრდილია 589 მილიონი დოლარით. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის პროცესი არ მიმდინარეობს და მხოლოდ რუსეთის ბაზარზე ვართ დამოკიდებული არსებითად მცდარი მოსაზრებაა.

" იმის მტკიცება, რომ საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის პროცესი არ მიმდინარეობს და მხოლოდ რუსეთის ბაზარზე ვართ დამოკიდებული არსებითად მცდარი მოსაზრებაა"

ტურიზმი

უცხოური ვალუტის შემოდინების თვალსაზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ტურიზმი წარმოადგენს. მაგალითისთვის 2018 წელს ტურიზმის წილმა მშპ-ში 7.6% შეადგინა. შესაბამისად, ტურისტული დარგის განვითარება და ახალი ბაზრების მოძიება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ხაზგასასმელია, რომ 2019 წელს ტურისტულ სექტორზე ნეგატიურად იმოქმედებს ორი ფაქტორი. ერთი მხრივ, რუსეთის მიერ შემოღებული სანქცია საჰაერო ფრენების აკრძალვის სახით, ხოლო, მეორე მხრივ, დედაქალაქში მიმდინარე საპროტესტო აქციები. სწორედ აღნიშნული ფაქტორების გამო, ტურისტული სექტორის ყველაზე აქტიურ ფაზაში (ზაფხულში) უამრავი ჯავშანი მოიხსნა როგორც დიდ და საშუალო სასტუმროებზე, ისე საოჯახო ტიპის განთავსების ადგილებზე.

„ბუნებრივია, შესაბამისმა აქტივობებმა შედეგი გამოიღო და ტურისტული ნაკადები 2018 წელს ისტორიულ მაქსიმუმზე დაფიქსირდა"

ტურისტული სექტორის განვითარების კუთხით, ბოლო წლებში მთელი რიგი მარკეტინგული კამპანიების თუ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-მშენებლობის სახით, მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა. ბუნებრივია, აღნიშნულმა აქტივობებმა შედეგი გამოიღო და ტურისტული ნაკადები 2018 წელს ისტორიულ მაქსიმუმზე დაფიქსირდა. კერძოდ, 2012 წელთან (4,741 მილიონი) შედარებით, 2018 წელს (8,679 მილიონი) საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 3,938 მილიონი ვიზიტორით გაიზარდა, რაც პროცენტულ გამოხატულებაში 78%-ს შეადგენს.



თუ შევხედავთ ტურიზმის სტატისტიკას ვნახავთ, რომ რუსეთის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა მთლიან რაოდენობაში 16%-ია, შესაბამისად, იმის თქმა, რომ საქართველოს ტურისტული ინდუსტრია რუსეთის მოქალაქეებზე დგას, სიმართლეს არ შეესაბამება.

"რუსეთის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა მთლიან რაოდენობაში 16%-ია, შესაბამისად, იმის თქმა, რომ საქართველოს ტურისტული ინდუსტრია რუსეთის მოქალაქეებზე დგას, სიმართლეს არ შეესაბამება"

გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ საქართველომ რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმების გადაწყვეტილება 2012 წელს მიიღო. იმჟამინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის №149-ე ბრძანებულებაში, წერია, რომ რუსეთის მოქალაქეები საქართველოში შემოსვლას და ვიზების გარეშე დარჩენას 90 დღის განმავლობაში შეძლებენ https://old.civil.ge/geo/article.php?id=25179. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა მიზეზი იმისა, რომ 2012 წელს რუსეთიდან ტურისტების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა - კერძოდ, 220 ათასიდან 410 ათასამდე.

ახლა განვიხილოთ, ტურისტული ბაზრის დივერსიფიკაციის საკითხი. კერძოდ, რა სურათია საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაში რუსეთის ფაქტორის გამორიცხვით.



"ტურისტული ბაზრების დივერსიფიკაცია წარმატებით მიმდინარეობს. რუსეთის ფაქტორის სრული გამორიცხვით, საქართველოში ტურისტების ნაკადი მაინც მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2,943 მილიონით მეტი ვიზიტორი შეადგინა"

მოცემული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ტურისტული ბაზრის დივერსიფიკაცია და სხვა ქვეყნების ბაზრების ათვისება წარმატებით მიმდინარეობს. კერძოდ, რუსეთის ფაქტორის სრული გამორიცხვით, საქართველოში ტურისტების ნაკადი მაინც მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2,943 მილიონით მეტი ვიზიტორი შეადგინა. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ ტურისტული ინდუსტრია მხოლოდ რუს ვიზიტორებზეა ორიენტირებული მცდარია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი)

ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება თავს იწონებდა და, ძლიერი პროპაგანდისტული მექანიზმებით საზოგადოებაში დაამკვიდრეს განცდა, რომ მათი ხელისუფლების პირობებში საქართველოში საინვესტიციო ბუმი იყო. გარდა ამისა, ასევე არის მოსაზრება, თითქოს არსებული ხელისუფლების პირობებში საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა დაიკარგა, რაც ცხადია, ასევე, მოკლებულია კონკრეტული ფაქტორების ანალიზს.

პირველ რიგში აღსანიშნავია, თავად ინვესტიციების მოცულობის შედარება - რა სურათი იყო 2012 წლის მდგომარეობით, და რა ხდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით 2013 წლიდან. ცხადია, არ იქნება ობიექტური თუ ერთი რომელიმე წლის მაჩვენებელს სხვა კონკრეტულ წელს შევადარებთ. ამიტომ შესადარებლად ავიღოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ბოლო ექვსი წელიწადი და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ექვსი წელი.



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჭრილში უშუალოდ რუსეთის ფაქტორს, აქ მცირედი სხვაობაა, თუმცა მთლიან ინვესტიციებში რუსეთის წილი „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში უფრო მეტი იყო, ვიდრე შემდგომ წლებში.



წყარო: საქსტატი

"ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პირობებში რუსული კაპიტალი ფართოდ შემოვიდა ენერგეტიკულ, საბანკო, სატელეკომუნიკაციო, ქიმიური წარმოების და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

- ,,თელასი" - 75% წილის მფლობელი „ინტერ-რაო";
- ,,მტკვარი ენერგეტიკი" - 100%-ის მფლობელი „ინტერ-რაო";
- ,,ლუკოილ ჯორჯია" - 100 % -იანი წილის მფლობელი "ლუკოილ ევროპა ჰოლდინგს ბი.ვი";
- წყალმომარაგება - „ნაციონალური მოძრაობის" დროს თბილისის, რუსთავის და მცხეთის წყალმომარაგება, ასევე ჟინვალჰესი და სხვა ენერგოობიექტები მთლიანად გადაეცა რუსულ კომპანიას, რომლის უკან რუსი მილიარდელი ანდრეი რაპაპორტი იდგა. (2017 წელს ეს აქტივები გაიყიდა და დღეს ამ ყველაფერს უკვე BGEO (საქართველოს ბანკის ჯგუფი) მართავს);
- „გალფი" (კეზერაშვილმა გადაასხვისა რუსეთის მოქალაქე იაკობაშვილზე, რომელმაც, თავის მხრივ, 51% მიჰყიდა "პეტროკას ენერჯი ლიმიტედს";
- მადნეული – RMG gold - მფლობელი ოფშორულ ზონაში, რეგისტრირებული RICH METALS GROUP. მისი მფლობელები კი რუსი მილიარდერები, დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟიევები არიან.
- ,,ბილაინი" - 2007 წელს კომპანია ,,მობიტელი" ,,ბილაინის" სახელით შემოვიდა. კომპანია რუსული ,,ვილპემკომის" ჯგუფის წევრია.
- ,,ვითიბი ბანკი" - ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" (ყოფილი გაერთიანებული ქართული ბანკი) აქციათა 96.81%-ს რუსული "ვითიბი ბანკი" ფლობს.
- „ენგურჰესი" - „ნაციონალური მოძრაობა" აპირებდა საქართველოში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის, „ენგურჰესის" რუსეთზე მიყიდვას, თუმცა ეს გარიგება საზოგადოების დიდი საპროტესტო ჩართულობის გამო არ შედგა. https://civil.ge/ka/archives/145585

- ჩრდილოეთ სამხრეთი მაგისტრალური გაზსადენი - „ნაციონალური მოძრაობა“ აპირებდა გაზსადენის გაყიდვას, თუმცა დასავლეთის უზარმაზარი ზეწოლის გამო ეს გარიგება ჩავარდა

  ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ 2012 წლის აპრილში, იმჟამინდელმა პრემიერმინისტრმა და „ნაც-მოძრაობის“ ყველაზე გავლენიანმა ლიდერმა, ვანო მერაბიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან საინტერესო განცხადება გააკეთა - „რუსულ ფულს სუნი არ უდის“ და „ნებისმიერ კაპიტალს საქართველოში მევესალმებით“, მათ შორის - რუსულსაც. - https://www.youtube.com/watch?v=QM-ivZItGOY

დასკვნა

- კვლევაში მოყვანილი ძირითადი მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მოსაზრება საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე საგანგაშო დამოკიდებულების თვალსაზრისით მცდარია;
- მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან რუსეთთან აღდგა ეკონომიკური კავშირები მისი წილი ქართულ ეკონომიკაში დრამატული ან/და საგანგაშო არ არის;
- ბოლო წლების განმავლობაში რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის პარალელურად, ყველა მიმართულებით ხორციელდებოდა ეკონომიკის დივერსიფიკაციის პროცესი;
- ეკონომიკის დივერსიფიკაციის კუთხით, ვხედავთ დადებით ტენდენციებს. კერძოდ, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სულ უფრო მზარდია საგარეო-სავაჭრო ბრუნვის სტატისტიკა, რამაც ჩვენი ეკონომიკა კიდევ უფრო დივერსიფიცირებული გახადა;
- მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ტრადიციული ბაზრები და პარალელურად ვიმუშაოთ ახალი ბაზრების ათვისების კუთხით;
- უახლოეს მომავალში საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლის რეალური პერსპექტივა მსოფლიოს ნომერ პირველ ეკონომიკასთან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მაქსიმალურად დაჩქარდეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე ხელშეკრულების ხელმოწერა აშშ-სთან, როგორც მსოფლიოს ნომერ პირველ ეკონომიკასთან, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ეკონომიკის ზრდის ტემპები, ეკონომიკა გავხადოთ მეტად დივერსიფიცირებული და, შესაბამისად, შევამციროთ საგარეო შოკების ზეგავლენა ქართულ ეკონომიკაზე.